პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 297 (11908)
შაბათი,
24
დეკემბერი,
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მშრომელთა დიდი გამარჯვება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქართველოს სსრ ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური საადგურეების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ მუშაკებს და ყველა მშრომელს:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვაში. სახელმწიფოს მიეყიდა 156,8 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 16,5 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან.

რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის, ხილისა და დაფნის ფოთლის მიყიდვის გეგმები.

ეს წარმატებანი მიღწეულია სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური საადგურეების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, პროფკავშირულ მუშაკებსა და ყველა მშრომელს ჩაის ფოთლის, ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებაში მიღწეულ წარმატებებს და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელები კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

საგოლოო სხდომა

მოსკოვი, 23 დეკემბერი. (საკადესი). ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში ოთხ დღეს მუშაობდა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია, რომელმაც განიხილა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საკითხები.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ახალი, 1961 წლისათვის. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, რომლებსაც კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა ხალხი, ასახავენ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებას. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და ბიუჯეტი შვიდწლედის მესამე წლისათვის მთლიანად შეესაბამებიან ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის ახალი ძლავრი აღმავლობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლების ამოცანებს, რომლებიც დასახა სკკპ XXI ყრილობამ.

23 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა **კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს** საბოლოო გაერთიანებული სხდომა. სესიის დღის წესრიგშია მესამე საკითხი: საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და საგარეო პოლიტიკა.

ამ საკითხის დაყენებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია არა მარტო საბჭოთა ადამიანებში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით აღრე ადგილები დარბაზში დეპუტატებთან ერთად დაიკავეს მრავალრიცხოვანმა სტუმრებმა — დედაქალაქის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა. ლოჟებში არიან უცხოელი დიპლომატები. საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესის წარმომადგენლები.

დილის 10 საათია. თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი პ. ჰ. **ლობანოვი,** ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე **ი. ვ. პეივე,** პალატების თავმჯდომარეთა მოადგილეები.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, ვ. ჰ. მჟავანაძე.** დეპუტატები და სტუმრები ფეხზე მდგომნი მქუხარე ტაშით ხვდებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

სხდომა გახსნა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ვ. პეივემ.** სიტყვა მოხსენებისათვის საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ ეძლევა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს დეპუტატ **ა. ა. გრომიკოს.**

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **ი. ს. ნასრიდინოვი** (უზბეკეთის სსრ), **ნ. ტ. კალჩენკო** (უკრაინის სსრ), **მ. რახმატოვი** (ტაჯიკეთის სსრ), **ვ. ი. ნიუნკა** (ლატვიის სსრ), **გ. ს. ძოწენიძე** (საქართველოს სსრ), **ი. ვ. სპირიდონოვი** (ლენინგრადი), **ე. ი. აფანასენკო** (რუსეთის სფსრ).

კამათის მონაწილე ყველა დეპუტატმა მხურვალედ მოიწონა მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს ჩვენი საბჭოთა მთავრობა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

დეპუტატ **ე. ი. აფანასენკოს** წინადადებით, რომელიც გამოვიდა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის სახელით, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოხსენების გამო ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: **„მოწონებულ იქნას მთლიანად და სავსებით საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა“.**

დღის წესრიგი ამოიწურა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესია დახურულად გამოცხადდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენების გამო

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპუტატ ა. ა. გრომიკოს მოხსენება სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მოწონებულ იქნას მთლიანად და სავსებით საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1960 წ. 23 დეკემბერი.

მშვიდობისათვის კეთილშობილურ მოძრაობაში მონაწილეობს მთელი საბჭოთა ხალხი

დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა

შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობას ჩვენი სამშობლოს მშრომელები, საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხები. დღეს სესია განიხილავდა საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხს. საბჭოთა მთავრობა რეგულარულად ანგარებს ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს თავისი პოლიტიკის შესახებ, ანგარებს ანგარიშს იმიტომ, რომ მოისმინოს ხალხის რჩეულთა აზრი და სურვილები, შეიმუშაოს ახალი ღონისძიებანი ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ

ა. ა. გრომიკოს სიტყვა

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დეპუტატმა ა. ა. გრომიკომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით 23 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მოახსენა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

საერთაშორისო ცხოვრების ახლანდელი ეტაპი, თქვა ა. ა. გრომიკომ, იმით გამორჩეულა, რომ აღსავსეა უდიდესი მოვლენებით. დღეებისა და საათების განმავლობაშიც კი იცვლება ვითარება ხან ერთ, ხან მეორე ქვეყანაში, მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. სულ ამ ცოტა ხნის წინათ პატრიოტული ძალების მძლავრმა გამოსვლებმა შეაჩერა სამხრეთ კორეა და იაპონია. ის, რაც იმპერიალისტური სახელმწიფოების მიზეზით ხდება კონგოში, ალჟირში, ლაოსში, ტრაგედიაა ამ ქვეყნების ხალხებისათვის, მაგრამ ამავე დროს უცხოელთა ბატონობისაგან მათი სრული განთავისუფლების, ნამდვილი ეროვნული აღორძინების საბრძოლო პროლოგიც არის.

ირყევა უცხოეთის მონოპოლიების ყოფილი ბატონობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და პროგრესის განთიადს, რომელიც აინთო კარიბის ზღვაში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ ნახევრადკოლონიაში — კუნძულ კუბაზე, მარტო ამერიკის კონტინენტის ხალხები როდი ხედავენ.

ახლანდელი ამბების მთელ მრავალფეროვან ფორმებსა და გარეგან სიჭრელეში, აღნიშნა მომხსენებელმა, გამოსჭვივის სავსებით გარკვეული ისტორიული ტენდენცია. ახლა ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების მთავარ მიმართულებასა და მთავარ თავისებურებებს განსაზღვრავენ მსოფლიო სოციალისტური სისტემა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები. საბჭოთა კავშირი და მთელი სოციალისტური ბანაკი, აგრეთვე ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მშვიდობის ძალები თვით იმპერიალისტურ ქვეყნებში ფუშავენ მშვიდობის მტრების ხრიკებს. სოციალისტური ბანაკის ეკონომიური და სამხედრო ძლიერება, რომელიც წლითიწლობით იზრდება, დროზე უფრობავდა გზას აგრესორებს. ეი რას ნიშნავს საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში ის, რომ მშვიდობის ძალები სჯობობენ ომის ძალებს!

ჩვენი ქვეყანა, თქვა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ კომუნიზმისაკენ, რომლის კონტურები სულ უფრო გარკვევით ისახება ყოველი ჩვენგანის წინ შვიდწლედის გრანდიოზული გეგმების შესრულების მიხედვით. იგი მტკიცედ მიდის წინ ლენინის დიადი პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ამბ. ნ. ს. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით, ვისი დაუშრეტელი ენერგიაც შთაგაგონებს ყოველ საბჭოთა ადამიანს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზოგი ვინმე კაპიტალისტურ ქვეყნებში ძალიან ცდილობს განმტკიცოს დასავლეთის სამხედრო ბლოკი—ნატო, სეატო და სენტო. ნამდვილად კი, თქვა მან, ეს ბლოკები სუსტდებიან, ირყევიან, ხოლო მათი ორგანიზატორების პოლიტიკა ზედიზედ განიცდის მარცხს.

დადგა დრო, განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა, როცა შეიძლება აღვაკვლოთ აგრესორთა ცდები — კვლავ გაჩაღონ მსოფლიო ომი და, უფრო მეტიც, იქმნება პირობები, რომლებშიც შეიძლება სამუდამოდ აღვაკვეთოთ ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში. სწორედ ამ მიზანს ისახავს საბჭოთა კავშირის, საბჭოთა ხალხის სამშვიდობო პოლიტიკა. შესანიშნავი ნიმუში მშვიდობის საქმის დაცვისა, რომელიც დარწმუნების და ხალხებზე ზეგავლენის განსაკუთრებული ძალით ხორცეულდება, დიპლომატიის ლენინური სტილის გამოყენების ნიმუში ჩვენს დროში არის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან, თქვა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, გაისმა სიმართლისა და ყველაზე ძალალი და კეთილშობილური ჰუმანიზმის ხმა. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ყველა გამოსვლა შეიცავდა წინადადებებს, რომლებიც დიდად აღელვებს ყველა ქვეყნის ხალხებს. ამ გამოსვლებს მხარი დაუჭირეს სხვა სოციალისტური ქვეყნების წამყვანმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებიც სათავეში ედგნენ აღნიშნული ქვეყნების დელეგაციებს.

შეეხო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხის გადაჭრით დაყენებას გენერალური ასამბლეის XV სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ, ა. ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩინეთი თავის შესაფერ ადგილს დაიკავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, და ეს იქნება უდიდესი ნაბიჯი წინ ხალხთა შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

იმას, რაც გენერალური ასამბლეის სესიაზე მოხდა, განაგრძო მომხსენებელმა, შეიძლება ვუწოდოთ ორი ბანაკის, ორი სამყაროს ორთაბრძოლა თავიანთი პოლიტიკური და მორალური პოზიციების დაცვისათვის ბრძოლაში. ერთმა ბანაკმა მოუწოდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშას ეწეროს სტატიები: მშვიდობა და ყველა სახელმწიფოს სრული განიარაღება ნაცვლად გამალებული სამარი მზადებისა, თავისუფლება ნაცვლად კოლონიური ბორკილებისა, სკოლები და საავადმყოფოები ნაცვლად ატომური და წყალბადის ბომბებისა. მეორე ბანაკი, რომელიც სტატიკით აგრეთვე მშვიდობისა და განიარაღებისათვის იბრძვის, ფაქტიურად ცდილობდა შეეცვალა განიარაღება კონტროლით, განიარაღებისადმი, რაც საქმით ნიშნავს გამალებული შეიარაღების განგრძობას, ყველაზე საშინელი საჭიროების იარაღის — ატომური ბომბების, რაკეტების წარმოებაში სახელმწიფოთა შეჯიბრების შემდგომ დაჩქარებას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შეეხო კითხვას, რომელსაც ზოგჯერ იძლევიან დასავლეთში, თუ რა არის იმის საიდუმლოება, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებები პოპულარულია ხალხებში, რა არის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლების მიმზიდველი ძალის საიდუმლოებაო, და თქვა: ამის პასუხი მარტივია — ეს საიდუმლოებაა სიმართლე, დიადი ადამიანური ფიქრები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს პოლიტიკას. ამის საიდუმლოება ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა სათამაშოდ კი არ იყენებს განიარაღებასა და მშვიდობას, არამედ პატიოსან პოლიტიკას ახორციელებს, ხოლო ხალხებისათვის ამის დამალვა ძნელია.

ა. ა. გრომიკომ შემდეგ აღნიშნა, რომ გარდუვალია კოლონიური მონობის სისტემის მსხვრევის პროცესი, სისტემისა, რომელსაც საუკუნეობით ეგრძნა კაპიტალიზმი. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით თვალსაჩინოა აფრიკის ხალხთა ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებანი. საბჭოთა მთავრობა მხურვალედ მიესალმა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას ყოფილ კოლონიების ადგილზე აფრიკაში. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ერთგულად იცავს ყველა ხალხის ეროვნულ უფლებათა პატივისცემის ლენინურ პოლიტიკას, უშვნაშვნოდ ცნო მათი სუვერენიტეტი და განაცხადა, რომ მზად არის განავითაროს მათთან ურთიერთობა სრული თანასწორუფლებიანობის საწყისებზე.

საბჭოთა კავშირისა და ყველა სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, დიდ გავლენას ახდენს ჩვენს დროში ხალხების

(დასასრული მე-2 გვერდზე)



კავშირის საბჭოს სხდომა კრემლის თეატრში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებანი

ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და იბრძვიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეული შეხვედრისათვის, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირნათლად შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მიყიდვაში. მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიეყიდა 156,8 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 138 ათასი ტონისა, ანუ 16,5 ათასი ტონით მეტი, ვიდრე მთელ გასულ წელს, რომელიც რეკორდულად ითვლებოდა ჩაის მოსავლიანობის მიხედვით. საქართველოს ჩაის მრეწველობამ მიმდინარე წელს გამოიმუშავა 38,2 ათასი ტონა ბაიხაო ჩაი, აქედან 21 ათასი ტონა უმაღლესი და პირველი ხარისხისაა.

შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის დაფნის ფოთლის მიყიდვის ვალდებულებანი. სახელმწიფოს მიეყიდა 1.139 ტონა დაფნის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ტონისა. სახელმწიფოსათვის კურკოვანი და თესლოვანი ხილის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, ციტრუსოვანთა ნაყოფისა — 104 პროცენტით, ხორცისა — 145 პროცენტით, რძისა — 105,6 პროცენტით, კვერცხისა — 106 პროცენტით და მატყლისა — 104 პროცენტით. სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 21,1 ათასი ტონით, რძე — 18,2 ათასი ტონით, კვერცხი — 11,6 მილიონი ცალით და მატყლი — 67 ტონით მეტი, ვიდრე შარშან ამ თარიღისათვის.

სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

წარმატებით მთავრდება საშემოდგომო სამუშაოები ჩაის პლანტაციების, ვენახების, ხეხილის ბაღებისა და დაფნის გასაშენებლად.

რესპუბლიკის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა 1961 წელს ახალი წარმატებები მოიპოვონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

მშვიდობისათვის კეთილშობილურ მოძრაობაში მონაწილეობს მთელი საბჭოთა ხალხი

(დასასრული)

ბრძოლაზე მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამყამად საბჭოთა კავშირს, აღრეთვე სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შეუძლიათ არა მარტო მორალურად და პოლიტიკურად დაეხმარონ ხალხებს, რომლებიც დამოუკიდებელ ცხოვრებას ესწრაფვიან, არამედ სერიოზული მატერიალურ-ტექნიკური დახმარებაც გაუწიონ მათ.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი არ ეძებს აფრიკაში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა რაიონებში, არაითარ პრივილეგიებს ან განსაკუთრებულ უფლებებს თავისთვის. მას არ უსაჭიროებია საბჭოდრო ბაზები აფრიკის მიწა-წყალზე და თვალი არ უჭირავს ამ კონტინენტის სიმდიდრეზე, როგორც ამას იმპერიალისტური სახელმწიფოები სჩადიან.

ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა სავსებით უჭერს მხარს წინადადებას, რომელიც წამოაყენა განის პრეზიდენტმა ნკრუმამ, — გადაქცეულ იქნას აფრიკა რაკეტული და ატომური იარაღისაგან და ამ იარაღის გამოცდისაგან. აღრეთვე უცხოელთის სამხედრო ბაზებისაგან თავისუფალ ზონად.

საგარეო საქმეთა მინისტრმა დაახასიათა მდგომარეობა კონგოში, სადაც დღეს კოლონიური რეჟიმის დამცველთა კოალიცია პარპაშობს. მაგრამ განა პარლამენტის გარეკვა, პრემიერ-მინისტრ ლუმუმბის და მისი თანამებრძოლების შეპყრობა და მათი ბუნებად აგდება კოლონიზატორთა გამარჯვებაა? რა თქმა უნდა, არა! — თქვა ა. ა. გრომიკომ. ეს მოქმედება ხმას ნიშნავს, რომ იმათ, ვინც ამ მოქმედებას მამართავს, მიწა ფეხქვეშ ეწვით. გაკვეთილი, რომელიც მათ აფრიკისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს მისცეს, ამაოდ არ ჩაივლის. უკანასკნელ სიტყვას კონგოში იტყვიან არა უცხოელი დამპყრობლები, არამედ ამ ქვეყნის ხალხი, რომელსაც ერთადერთს აქვს უფლება იყოს მისი ბატონ-პატრონი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა არასაკადრისი როლი შეასრულა კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატმა მისი გენერალური მდივნის მეთაურობით. ჰამარშელდისა და მის წარმომადგენლთა მოქმედება კონგოში, თქვა მინისტრმა, კოლონიზატორების ხელშემწყობთა მოქმედებაა. ახლა ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რამდენად მწვავედ არის საჭირო წესრიგის დამყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების სტრუქტურაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო და უშიშროების საბჭოს შემადგენლობა სწორად უნდა ასახავდნენ ძალთა რეალურ თანაფარდობას, რომელიც მსოფლიოში შეიქმნა, მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება მბოძავალი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, როგორც მშვიდობის ინსტრუმენტს.

კოლონიალიზმის პოლიტიკის ერთერთი ყველაზე სამარცხვინო გამოვლენება უწოდა ა. ა. გრომიკომ ომს, რომელსაც სთრანგული ნატოში თავის მოკავშირეთა მხარდაჭერით უკვე მეშვიდე წელია აწარმოებს ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ. ალჟირის ხალხმა, თქვა მომხსენებელმა, დაგვანახვა, რომ მას უნარი შესწევს დაიცვას თავისი უფლებები, და არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი ააღებინოს მას ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. ჩვენ მოგვაგონა, განაგრძო მომხსენებელმა, რომ ალჟირელ ხალხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი, და გვწამს, რომ იგი მიაღწევს თავის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებას ახლო მომავალში.

ა. ა. გრომიკომ ილაპარაკა სეატოს ბლოკის სამხედრო ინტეგრაციაზე ლაოსელი ხალხის წინააღმდეგ, ბლოკისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობენ, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით მოითხოვს, რომ ლაოსი მისი ხალხის ნების შესაბამისად დამოუკიდებელი ნეიტრალური სახელმწიფო დარჩეს.

ჩვენს დროს, აღნიშნა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, პატარა ქვეყანასაც აქვს შესაძლებლობა წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტებს და დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა, თუ მისი ხალხი გადაჭრით და შეკავშირებულად, აღდგება ეროვნული თავისუფლების დასაკავებად. ამას მოწმობს რევოლუციური კუბის მაგალითი. კუბის სამეფ ახლა დროშა გახდა ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის პატრიოტული ძალებისათვის, რომლებიც ფიცსა დებენ არ დაუშვან, რომ აფროკონ კუბა, რომელიც ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდშია.

აღნიშნა რა ისტორიული მნიშვნელობა საბჭოთა მთავრობის მიერ შეტანილი დეკლარაციისა კოლონიალიზმის მისი სრული და საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ, ა. ა. გრომიკომ თქვა, რომ ამეამად ამოცანა ის არის, რომ ყველა ქვეყნისა და ხალხის ერთობლივი ღონისძიებებით მიგადწიოთ იმას, რომ რაც შეიძლება მალე შესრულდეს დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. დეკლარაცია, რომლის პროექტი ასამბლეას წარუდგინეს აზიისა და აფრიკის 43 ქვეყნის დელეგაციებმა და რომელიც მან მიიღო.

მომხსენებელი შეეხო განიარაღების პრობლემას და აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მთავრობა არ ზოგავენ არც დროს, არც ძალებს, რათა ხელი შეუწყონ ამ პრობლემის გადაჭრას და სამუდამოდ მოსპონ ომი დედამიწიერ ცხოვრებიდან. საბჭოთა მთავრობამ, თქვა მან, რომელსაც სურდა მაქსიმალურად მიეახლოებინა ერთმანეთისათვის მხარეთა პოზიციები და დაეჩქარებინა შეთანხმება, თავის წინადადებებში საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ გულდასმით გათვალისწინა წინადადებანი, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა გამოთქვეს. საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული გულმოდგინებით დაამუშავა საკითხები, რომლებიც ეხება განიარაღებისადმი კონტროლს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოაგონა სხდომას ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მიიღოს ყოველგვარი კონტროლი, თუ დასავლეთის სახელმწიფოები მიიღებენ წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. დასავლეთის სახელმწიფოები, აღნიშნა ა. ა. გრომიკომ, მოითხოვენ „კონტროლს შეიარაღებისადმი“, სხვანაირად რომ ითქვას, ისინი მოითხოვენ, რომ თვალყური ვადევნოთ იმას, თუ როგორ ჩაღდება გამალებული შეიარაღება.

როგორც მომხსენებელმა შემდეგ აღნიშნა, შეიქმნა საბჭოთა კავშირისა და ნეიტრალისტური სახელმწიფოების საერთო ფრონტი — განიარაღების მომხრეთა ფრონტი. საბჭოთა მთავრობას მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია, რომ გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის გამართვა ყველაზე პასუხისმგებელ და უმაღლესი თანამდებობის სახელმწიფო მოღვაწეთა მონაწილეობით სასარგებლო იქნებოდა განიარაღების საკითხის განხილვისათვის.

შემდეგ ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მეცადინეობას, — გამონახოს საყოველთაო და სრული განიარაღების გზები — ნატოს სახელმწიფოები „უბირისპირებენ გამალებული შეიარაღების შემდგომი გაძლიერების კურსს.

დაახასიათა რა ეგრეთწოდებული „ნოსტრადეის გეგმა“, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს გეგმა პრაქტიკულად იმის მომასწავებელი იქნება, რომ დასავლეთი გერმანია გადაიქცინ „ატომურ სახელმწიფოდ“. ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის თანამდებობის პირები თავგამოდებით მოითხოვენ, რომ ატომური იარაღი ფაქტიურად აღმოჩნდეს შპაიდელისა და ჰოიზინგერის ხელში, რომლებიც, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელნი ნატოს სამხედრო ორგანოებში, განასახიერებენ დასავლეთ გერმანიის ყველაზე გათავხედებულ მილიტარისტულ და რევანშისტულ წრეებს.

ა. ა. გრომიკომ ნატოს საბჭოს სესიის მონაწილე 15 ქვეყნის მინისტრების კომუნიკეს უწოდა ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური პროპაგანდის დიდი ხნის გადაღეჭილი შაბლონების ჩვეულებრივი თაიგული, პროპაგანდისა, რომელიც გებელსის უწყებისაგან არის ნასესხები.

საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. გრომიკომ, სათანადო დასკვნებს გააკეთებს იმ ფაქტიდან, რომ ნატო განაგრძობს აგრესიული კურსის განხორციელებას, გეგმავს რა საომარი მზადების გაფართოებას. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა იმ მოთხოვნების საესებით შესაბამისი იქნება, რომლებსაც მას თანამედროვე საერთაშორისო ვითარება უყენებს. საბჭოთა კავშირის, ისევე როგორც სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის საზღვრები ყოველთვის მაგრად და საიმედოდ იქნება ჩაკეტილი. ხოლო თუ საჭირო გახდა, საბჭოთა სახელმწიფოს მთელი სიმძლავრე მოხმარდება ჩვენი სამშობლოს, ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეების დაცვას.

საბჭოთა მთავრობა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, იმის მომხრეა, რომ რაც შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება ორ გერმანულ სახელმწიფოსთან და შეიქმნას თავისუფალი ქალაქი დასავლეთი ბერლინი. ამ ამოცანების გადაწყვეტა გზას გაუკაფავდა ნამდვილად კარგ და ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობას სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. სამწუხაროდ, დასავლეთი გერმანია წამადაუწუმ სცილდება კეთილგონიერების ნიადაგს.

როგორც ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, 1960 წლს გაფართოვდა და განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის მეჩიდრო ძმური ურთიერთობა სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

სოციალისტური ქვეყნები როგორც მეგობრები და ძმები ერთიანი ფრონტით გამოდიან უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებში და უწინარეს ყოვლისა ჩვენი დროის ყველაზე მწვავე პრობლემაში — ომისა და მშვიდობის პრობლემაში. სოციალისტური ქვეყნების ხალხებსა და მათს მთავრობებს ამ საკითხში ერთიანი აზრი აქვთ. ეს ერდონმა განსაკუთრებით ცხოველად იგრძნობოდა მორეულ ნიუ-იორკში, სადაც საბჭოთა დელეგაციამ ყოველთვის გრძნობდა მეგობრულ მხარდაჭერას სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებისაგან, რომლებიც თანმიმდევრულად და მტკიცედ იცავდნენ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. სოციალიზმის ბანაკში შემავალი ქვეყნები — საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები დგანან ერთ მეჩრიფში და ქმნიან თავისუფალი ხალხების სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ თანამეგობრობას, ხალხებისა, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთაშორისო სოციალისტური სოლიდარობის მჩიდრო კავშირით, საერთო ინტერესების და სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მიზნების ერთიანობით. ეს მთელი ძალთა და უაღრესად მძაფიოდ იყო დემონსტრირებული ისეთ ისტორიულ დოკუმენტში, როგორიც არის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადება, რომელშიც მოცემულია მსოფლიოს თანამედროვე მდგომარეობის, აგრეთვე სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის ფრმა მარქსისტულ-ლენინური შეფასება.

შემდეგ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაახასიათა საბჭოთა კავშირის ურთიერთობა იუგოსლავიასთან, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან, . იაპონიასთან, ფინეთთან, სკანდინავიის ქვეყნებთან, თურქეთთან, ირანთან. შეეხო რა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას, ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს ეს ურთიერთობა დაძაბული იყო და შესამჩნევად გაუარესდა. საბჭოთა მთავრობას სურს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა ხელისუფლების სათავეში კენედის ჩადგომის შემდეგ დაუბრუნდეს იმ კალაპოტს, რომელშიც ეს ურთიერთობა ფრანკლინ რუზველტის დროს იყო. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ სავსებით მზად არის ხელი შეუწყოს იმას, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა გაუმჯობესდეს.

ამრიგად, თქვა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები, საერთაშორისო ავტორიტეტი ისეთო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ეს იმ უმაგალითო წარმატებათა პირდაპირი შედეგია, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა ჩვენი სამშობლოს ცხოვრების პირდაპირ ყველა დარგში მიაღწია. საბჭოთა მთავრობა ყველაკ ძალღონის დაუზოგავად ასევე თანამიმდევრულად დაიცავს მშვიდობის საქმეს, რაც ესოდენ ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ხალხისათვის, რომელიც აშენებს კომუნისტური საზოგადოების ნათელ შენობას. (საკვლეს).

• • •

ითვალისწინებს რა ლენინურ დებულებას სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობის შესახებ, სსრ კავშირი ყველა ღონისძიებას იღებს მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად. უკანასკნელ ხანს ბევრად გაიზარდა საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ყველა ქვეყნის ძლიერება და საერთაშორისო გავლენა. სოციალიზმისათვის კი, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, ორგანულად დამახასიათებელია მშვიდობისადმი მისწრაფება. ეს აზრი იყო მთავარი ყველა დეპუტატის სიტყვაში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხის განხილვაში.

საბჭოთა მთავრობის გენერალური ხაზია ბრძოლა მშვიდობისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ამბობს დეპუტატი, ჩვენმა ხალხმა არ შეიძლება არ გაითვალისწინოს ის, რომ დასავლეთის ქვეყნების მმართველ წრეებს შორის არიან გავლენიანი დაჯგუფებანი, ვისი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებიც უშუალოდ დაკავშირებულია გამალებული შეიარაღებისა და ახალი ომის მზადების პოლიტიკასთან. სულ უფრო მკაფიოდ ყალიბდება ეშინგტონისა და ბონის სამხედრო კავშირი.

საინტერესოა, რომ, როცა ინგლისის პრემიერი ბ-ნი მაკმილანი იყო საბჭოთა კავშირში, და კერძოდ, ლენინგრადში. აღნიშნავს ამბ. სპირიდონოვი, მან ბევრი ილაპარაკა იმაზე, რომ ესწრაფვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცებას. მშვიდობის განმტკიცების ეტაპურ გაგებას ამყოვანებს ახლა ბ-ნი მაკმილანი, როცა თავისი ქვეყნის ტერიტორიას თმობს ამერიკის ატომური იარაღი აღჭურვილი წყალქვეშა ნავების განლაგებისათვის, რომლებიც დამიზნებულია საბჭოთა კავშირზე და, შესაძლოა, ლენინგრადზე.

ლენინგრადის მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, სძულთ ომი. ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისათვის, იმიტომ, ამბობს დეპუტატი, რომ იგი ჩვენი ქვეყნისათვის ბუნებრივი მდგომარეობაა, როცა საუკეთესოდ ვლინდება ხალხის ყველა ნიჭი და უნარი, სოციალიზმის ყველა უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე. მაგრამ მშვიდობა თავისთავად როდი მოდის, მისთვის უნდა ვიბრძოლოთ ყოველდღიურად და დაუცხრომლად.

— სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, მისი ძალისა და მშვიდობისმოყვარეობის შესახებ სულ უფრო და უფრო ენერგიულად იკაფავს გზას მსოფლიოს უბრალო ადამიანების გულში, — თქვა დეპუტატმა ე. ი. აფანასენკომ (რუსეთის სფსრ).

წარადგენებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, სამარცხვინო კოლონიური სისტემის ლიკვიდაციას და ყველა კოლონიური ხალხისა და ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურის შესახებ, რომლებიც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა შეიტანა საბჭოთა მთავრობის სახელით, მხურვალედ დაუჭირა მხარი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანამ და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. ამ წინადადებებმა ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის უდიდეს ზრდას.

საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის საპირისპიროდ, განაგრძობს დეპუტატი, თავაწყვეტილი ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ თავიანთი აგრესიული პირმშო ნატო გადაქციონ „მეოთხე ატომურ სახელმწიფოდ“. ასეთია მათი მხეცური პოლიტიკა, და მას ვერაფრით ვერ შეალამაზებენ, როგორც უნდა ცდილობდნენ. მსოფლიოს ხალხები ხედავენ, სად არის ნამდვილი სიმართლე.

ჩვენი ხალხი, ამბობს დასასრულ ამბ. აფანასენკო, სავსებით იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

საზღვარგარეთის პრესის წარმომადგენლები — სოციალისტური და ბურჟუაზიული ქვეყნების უდიდესი დეპეშათა საგენტოების, გაზეთების, რადიოს, კორესპონდენტები, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ, უურადღებით უსმენდნენ ა. ა. გრომიკოსა და დეპუტატების გამოსვლებს. ზოგიერთი მათგანი მარტოოდენ მოკლედ კი არ იწერდა, არამედ სტენოგრაფიულადაც იწერდა სიტყვებს. პირველი „ელვა“ დეპეშები სხვადასხვა ენაზე ჯერ კიდევ მოხსენების დროს გაიგზავნა.

დამთავრდა მოხსენება, დამთავრდა დეპუტატთა გამოსვლები. უცხოელ კორესპონდენტები მიიჩქარიან საერთაშორისო ტელეფონისაკენ, ტელეგრაფში, რათა დაწვრილებითი ცნობები, კომენტარები გადასცენ. მსოფლიოს მილიონობით ადამიანს სურს იცოდეს, თუ როგორ აფასებს საბჭოთა მთავრობა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, როგორია საბჭოთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ახალი ღონისძიებანი მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის დეპუტატებმა ერთსულოვნად და სავსებით მოიწონეს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა. ეს ერთსულოვნება მოწმობს ჩვენი ქვეყნის ხალხთა იმ მისწრაფებას, რომ მშვიდობიანი გზით გადაიჭრას უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხები, მოწმობს, რომ თვითეული საბჭოთა ადამიანი მზად არის დაიცვას მშვიდობა დედამიწაზე.

საბჭოთა ადამიანებისათვის დამახასიათებელი ამ ურყევი რწმენით — თავისი ძალების, ეონების გამარჯვების რწმენით ეგებება მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხი **შვიდწლედის** მესამე წელს.

საკვლისის სპეც. კორესპონდენტები

ნ. ჟელეზნოვი,
ა. მედვედევი,
ა. რომანოვი,
გ. საფრონოვი.

დეპუტატ გ. ა. გეგეშიძის სიტყვა

თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქი საქართველოს სსრ

ამხანაგო დეპუტატებო! 1960 წელი — შვიდწლედის მეორე წელი, ჩვენი ქვეყნის ახალი მიღწევების, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფის, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ზრდის წელი დაგვრჩებოდა უდიდესი მოვლენით კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიაში. კომუნისტთა საერთაშორისო ფორუმზე მიღებულ ისტორიულ დოკუმენტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის ბედისათვის.

საბჭოთა საქართველოსა და მისი დედაქალაქის თბილისის მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ერთსულოვნად იწონებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის განცხადებას და მიმართავს მეოცე ყრილობიდან, ეს განცხადება და მიმართვა, როგორც კეთილს მაუწყებლები, მოიდო ყველა ქვეყანას, გაიცისკროვნა გზა ხალხთა მეგობარი ბრძოლისა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის.

მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების ბურჯია დიდი საბჭოთა კავშირი, გმირი საბჭოთა ხალხი და მისი სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომლებიც თავდადებით იბრძვიან მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, სახელმწიფოთა და ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. გამოხატავს რა მთელი მოწინავე კაცობრიობის ფიქრებსა და მისწრაფებებს დაუცხრომლად იბრძვის, მშვიდობისა და უბრალო ადამიანთა ბედნიერებისათვის დედამიწაზე მშვიდობის დიდი დამცველი ჩვენი ძვირფასი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. **(მქუხარე ტაში).** კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი მოღვაწეობა გამსჭვალულია უბრალო ადამიანებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით. ამას მკაფიოდ გვიჩვენებს საბჭოთა საქართველოს განსვენებული ბელადი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია საგულისხმო ნაწერები. რას წარმოადგენდა საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე? ეს იყო მეფის რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი მხარე, ქვეყანა, სადაც უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე გამოუყენებელი რჩებოდა. ქვეყანა რომელსაც უკვდავმა ლენინმა რუსეთზე კიდევ უფრო ველური უწოდა.

ახლანდელი საბჭოთა საქართველო—ეს არის რესპუბლიკა, სადაც აღორძენენ ფოთლადა და თუჯს, სადაც აყეთებენ პირველხარისხოვან ჩარხებს, ელმავლებსა და ზუსტ ხელსაწყოებს, სადაც აწარმოებენ სხვადასხვა სამრეწველო პროდუქციას, რომელიც იგზავნება არა მარტო ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა რაიონში, არამედ მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაშიც. დღევანდელი საქართველო — ეს არის განვითარებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, მაღალი კულტურის, მოსახლეობის მთლიანი წიგნიერების, მრავალი სამეცნიერო დაწესებულების რესპუბლიკა. თავისი შრომის ნაყოფით ბედნიერი და ამაყი ქართველი ხალხი ეგებება სახალოვან ეროვნულ დღესასწაულს — მშობლიურ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

ქართველმა ხალხმა იცის, რომ თავის ყველა გამარჯვებასა და მიღწევას უნდა უმადლოდეს ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის ძმურ დახმარებას. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვასა და დახმარებას. ნება მიბოძეთ: ამხანაგო დეპუტატებო. ამ მაღალი ტრიბუნიდან საქართველოს მშრომელთა სახელით, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მშრომელთა სახელით ყველითადი მადლობა ეუძღვნა ჩვენს მშობლიურ პარტიას, ჩვენს საყვარელ მთავრობას ამ უსაზღვრო ზრუნვისა და დახმარებისათვის. **(ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს დედაქალაქში, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის ყველ კუთხეში, ამ დღეებში უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა. თბილისის მშრომელებმა, რომლებიც უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის, ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის, ქართველი ხალხის სახელოვანი ეროვნული დღესასწაულის — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვადამდე, 15 დეკემბრისათვის შესასრულეს საერთო პროდუქციისა და მეტ ფულ სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1960 წლის სახელმწიფო გეგმა. სამრეწველო წარმოების მოცულობა გასულ წელთან შედარებით 9,4 პროცენტით გადიდდა. წლის ბოლომდე თბილისის მრეწველობა გეგმის გადამეტებით გამოუშვებს რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქციას.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ არც თუ ცოდად მუშაობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო მთავრობის ინიციატივით მიმდინარე შვიდწლედში ჩვენს ქალაქში შექმნილი ელექტროტექნიკური მრეწველობის წარმოება. თბილისის ლენინის სახელობის ელმავლასამშენებლო ქარხანა, ქარხნები „ელექტროაპარატმატი“, „ელექტროგამზომები“, „ელექტროშედუღება“ და მრავალი სხვა.

დიდი გაქანება მიეცა ქალაქში საბინაო მშენებლობას. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თბილისში საექსპლოატაციოდ იქნა გადაცემული მეტი საბინაო ფართობი, ვიდრე წინა 12 წელიწადში ერთად. წარმატებით ხორციელდება ახალი საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის 1960 წლის გეგმა. ცოტა რამ როდი გაკეთდა თბილისში ქუჩებისა და მოედნების, განსაკუთრებით განაპირა უბნების ეკეთილმოწყობისათვის. ჩვენს ქალაქში მარშან ყარადაღ-თბილისის მეგობრობის გაზსადენით მოვიდა ბუნებრივი გაზი და ეს სამუალებას გვაძლევს გაზის სათბობზე გადავიყვანთ ბევრი საწარმო და დაწესებულება, გავიყვანოთ ბევრი ადგილი ქალაქის მოსახლეობის ყოფაცხოვრება.

თბილისის მშრომელნი დიდ აქტივობასა და ინიციატივას იჩენენ ქალაქის შემდგომ კეთილმოწყობაში. ყველა თბილისელი უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ რესპუბლიკის იუბილესათვის მათი მშობლიური ქალაქი კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი იყოს.

ეაჯამებთ რა მიმდინარე წელს გაწეულ მუშაობას, ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია ნაკლი და გადაუჭრელი ამოცანა. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შვიდწლედის მომავალ, მესამე წელს ჩვენი მრეწველობა, ქალაქის მეურნეობა უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდეს საჭირო არ არის ჩამოვთვალოთ ჩვენი ყველა ნაკლი მრეწველობის მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგებში. ამ ნაკლოვანებებს ჩვენ ვხედავთ და ყოველ ღონეს ვხმარობთ მათი უსწრაფესად აღმოფხვრისათვის.

მინდა შევეხო იმ საკითხებს, რომელთა გადაჭრაში დახმარება გვჭირდება. უწინარეს ყოვლისა, საბინაო მშენებლობის მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ახალი საბინაო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის დაკალებას ყოველწლიურად გადაჭარბებით ვასრულებთ, საცხოვრებელი ფართობის მზრდა დაძაბული მდგომარეობა გვაქვს. ამ მდგომარეობის შემსუბუქებისათვის საჭიროა შვიდწლედში აკაგოთ კიდევ 1,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამავე დროს, შვიდწლედის ორი წლის მანძილზე აშენდა 300 ათასი კვადრატული მეტრი, საბინაო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა ახლანდელი მოცულობის ბარობებში ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ გეგმით დასახული საკონტროლო ციფრების შესრულებას.

სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ ჩვენს ქალაქში ერთ სულ მოსახლეზე მოდის 6,7 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს ერთი შეხედვით ცუდი მაჩვენებელი როდია, მაგრამ მას აქვს თავისი მეორე მხარე. ყველა ამხანაგმა იცის, რომ ჩვენი ქალაქი ერთ-ერთი უძველესია, იგი 1.500 წელზე მეტი ხნისაა. ბუნებრივია, რომ ჩვენს ქალაქში არის ოდენობით საკმაოდ მნიშვნელოვანი დაძველებული საცხოვრებელი ფონდი, რომლის აღდგენა შეუძლებელია და რომელიც უნდა შეიცვალოს. ამრიგად, საქმე ეხება იმას, რომ საბინაო მშენებლობა ვიწარმოოთ უფრო დაჩქარებული ინდუსტრიული ტემპებით. უფრო სწრაფად გადავასახლოთ კეთილმოწყობილ თანამედროვე საცხოვრებელ სახლებში ადამიანები იმ სახლებიდან, რომლებმაც თავიანი დრო მოჭამეს. ეს მოითხოვს გავაღიოთ დაფინანსება ამ მიზნებისათვის, და, რა თქმა უნდა, სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს სავსებით აღმოვფხვრათ „სუსტ-ტრუბლობა, რომელიც ჯერ კიდევ არის მშენებლობის პრაქტიკაში.

ამას წინათ ჩვენს ქალაქს გავლილი ესტუმარა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. მან დაათვალიერა ახალშენებანი, ნახა თბილისის ჩერიომუშკი — საბურთალოში. ნიკიტა სერგის-ძემ ბევრი საგულისხმო შენიშვნა მოგვცა და გვისაყვედურა, რომ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები ჩვენში მეტად ნელი ტემპით ვითარდება. ჩვენ შესაბამისი დასკვნები გამოვიტანეთ ნიკიტა სერგის-ძის მითითებებიდან. მაგრამ, რომ უზრუნველვყოთ განუხრელი შესრულება სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ და მთლიანად გადავიყვანოთ საბინაო მშენებლობა ინდუსტრიულ რელსებზე, საჭირო საკავშირო მთავრობის დახმარება, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით.

ვითვალისწინებთ რა ამას, ჩვენ ვთხოვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გადასინჯონ 1961 წლისა და შემდგომი წლების კაპიტალდაბანდებათა მოცულობა მისი მნიშვ

ნაპერწკლიდან აინთო ალი

ლენინური „ისკრის“ 60 წელი

სამოცი წლის წინათ, 1900 წლის 24 დეკემბერს გამოვიდა არალეგალური საერთო-რუსული რევოლუციური გაზეთი „ისკრა“, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ვ. ი. ლენინი. განუზომელია ლენინური „ისკრის“ დამსახურება როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინაშე. მან იდეური და ორგანიზაციული საფუძვლები მოუმზადა რუსეთის პროლეტარიატის პარტიას — ბოლშევიკურ პარტიას, რომლის შექმნა წარმოადგენდა მობრუნების პუნქტს მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

• • •

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა დასავლეთ ევროპიდან რუსეთში გადმონაცვლა. რუსეთი ფეხზმიდგ იყო სახალხო რევოლუციით, რომელიც თავისი შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს რევოლუცია მწიფდებოდა სულ სხვა პირობებში, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მომხდარი ასეთი ხასიათის რევოლუციები. უკანასკნელი ხორციელდებოდნენ მაშინ, როცა კაპიტალიზმი აღმავალი გზით ვითარდებოდა. რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია კი მწიფდებოდა იმპერიალიზმის ეპოქაში. ვ. ი. ლენინი იმპერიალიზმს ახასიათებდა როგორც დაღმავალ, ლპობად, მომაკვდავ კაპიტალიზმს, როგორც პროლეტარული რევოლუციის წინადღეს.

ახალმა ეპოქამ კლასობრივ ძალთა ახალი განლაგება გამოიწვია. თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებში ხელმძღვანელი, ჰეგემონი ბურჟუაზია იყო, ხოლო პროლეტარიატი დამხმარე, ხელშემწყობ როლს ასრულებდა, რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხელმძღვანელის, ჰეგემონის როლი ისტორიამ მუშათა კლასს არგუნა.

რუსეთის პროლეტარიატი ყველაზე რევოლუციური კლასი იყო. ბურჟუაზიას რევოლუციისა უფრო ეშინოდა, ვიდრე ცარიზმისა. ამიტომ იგი ამ უკანასკნელის ბრალზე გამოდიოდა. ცარიზმის დამხობა — აი ის უდიდესი და უახლოესი ამოცანა, რომელიც იდგა მაშინ რუსეთის მუშათა კლასის წინაშე. „ისტორიამ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ახლა ჩვენს წინაშე დააყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც **ყველაზე უფრო რევოლუციურია** რომელიც გებედავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა **უახლოეს** ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე... აზიის რეაქციის უაღრესად ძლიერი დასაყრდენის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გადიდა“.

მეოცე საუკუნის დასაწყისი რუსეთში აღინიშნა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შემდგომი გამწვავებით. პროლეტარიატის ზეგავლენით რევოლუციურ მოძრაობაში სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ებმებოდნენ გლეხობა და მოსახლეობის სხვა ფენები, რომლებიც უკმაყოფილნი იყვნენ ცარიზმით. ახლოვდებოდა ქარიშხალი, რომელსაც უნდა დაელეწა მეფის თვითმპყრობელობა. მაგრამ რუსეთის მუშათა კლასს არ ჰყავდა ერთიანი ცენტრალიზებული პარტია, რომელსაც შეეძლო რევოლუციური მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. წვრილი მარქსისტული წრეები და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც არსებობდნენ რუსეთში, ერთმანეთთან „არ იყვნენ დაკავშირებულნი, მოქმედებდნენ ერთმანეთთან შეუთანხმებლად, არ ჰყავდათ საერთო ხელმძღვანელი, არ ჰაარნდათ მოქმედების ერთიანი პროგრამა, მუშაობის ერთიანი ტაქტიკური ხაზი. რა თქმა უნდა, ასეთ წრეებსა და ორგანიზაციებს არ შეეძლოთ სათავეში ჩასდგომოდნენ რევოლუციურ მოძრაობას.

რევოლუციის მოახლოება მთელი ძალით აყენებდა მუშათა კლასის ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნის საკითხს, პარტიისა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა პროლეტარიატს, ხალხის მასებს და წაიყვანდა მათ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გზით. მაგრამ ასეთი პარტიის შექმნას მრავალი დიდი სიძნელე და წინააღმდეგობა ეღობებოდა. ერთ-ერთ ასეთ წინააღმდეგობას წარმოადგენდა ცარიზმი, რომელიც სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, მხეცურად სდევნიდა რევოლუციონერ მარქსისტებს. მარქსისტული პარტიის შექმნის გზაზე დიდი სიძნელე იყო აგრეთვე ის, რომ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტებისა და მათი ხელმძღვანელი მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილი წინააღმდეგი იყო ერთიანი, ცენტრალიზებული პარტიის შექმნისა, რომელსაც ეყოლებოდა ეროი ხელმძღვანელი ორგანო, ექნებოდა მოქმედების პროგრამა და მუშაობის ტაქტიკური ხაზი. ამ ადამიანებს არ ესმოდათ ორგანიზაციულად და იდეურად ერთიანი პარტიის არარსებობის დამღუბველი ხასიათი მუშათა კლასისათვის, ისინი მიჩვეული იყვნენ და სავსებით ნორმალურად სთვლიდნენ პარტიის დაქსაქსულობას, იდეურ დაბნეულობას. ესენი იყვნენ „ეკონომისტები“, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები — გაზეთი „რაბოჩაია მისლი“ და ჟურნალი „რაბოჩეე დელო“.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ ენისეის გუბერნიის მინუსინსკის ოლქის სოფელ შუშენსკოეში გადასახლებაში ყოფნისას (1897 წლის მარტი—1900 წლის იანვარი) შეიმუშავა რუსეთში მარქსისტული პარტიის შექმნის გენიალური გეგმა. ვ. ი. ლენინს ასეთი პარტიის ჩამოყალიბების ერთადერთ საშუალებად მიაჩნდა საერთო-რუსული არალეგალური პოლიტიკური გაზეთის გამოცემა. გაზეთის გამოშვება უნდა მოწყობილიყო საზღვარგარეთ, სადაც მას მეფის სატრაპების ხელი ვერ მისწვდებოდა. საზღვარგარეთიდან კი გაზეთი რუსეთში არალეგალურად უნდა შემოეტანთ და გაევრცელებინათ.

1900 წლის იანვარში დამთავრდა ვ. ი. ლენინის ციმბირში გადასახლების ვადა. გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე იგი შეუდგა რევოლუციური გაზეთის გამოშვებისათვის მზადებას, რისთვისაც ტიტანური მუშაობა გააჩაღა. საჭირო იყო სხვადასხვა ქალაქების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება, ადგილებზე ამხანაგებთან შეთანხმება გაზეთის გამოშვებასა და გავრცელებაში, ფულადი სახსრების გამონახვაში მათი მონაწილეობის შესახებ და სხვ. ამ მიზნით ვ. ი. ლენინმა უფაში, პეტერბურგში, პსკოვში, მოსკოვში, რიგაში და სხვა ქალაქებში ჩაატარა სოციალ-დემოკრატი ამხანაგების თათბირები. შერჩეულ იქნენ გაზეთის მომავალი თანამშრომლები, კორესპონდენტები, შეთანხმდნენ მათი მუშაობის შესახებ, გაზეთისთვის მატერიალური მხარდაჭერის, გავრცელებისა და სხვა საკითხებზე.


ИСКРА

Центральный Орган Российской Социал-Демократической Рабочей Партии

№ 1 № 1

რუსეთში სათანადო მოსამზადებელი მუშაობის გაწევის შემდეგ, ვ. ი. ლენინი 1900 წლის იულისში გაემგზავრა საზღვარგარეთ, შვეიცარიაში, რათა შეთანხმებოდა „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ წევრებს საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის გამოშვების საკითხზე. 1900 წლის აგვისტოში ციურიხში (ლენინის მახლობლად) გაიმართა თათბირი, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საერთო-რუსული გაზეთის გამოშვების შესახებ, რომლის გეგმა მთლიანად ლენინმა შეიმუშავა. 1900 წლის 11 დეკემბერს (ძვ. სტილით) ქ. ლაიპციგში გამოვიდა „ისკრის“ პირველი ნომერი. გაზეთს ეპიგრაფად ჰქონდა დეკაბრისტების მიერ პუშკინისათვის პასუხად გაგზავნილი ქვის სიტყვები „ნაპერწკლიდან აინთება ალი“.

• • •

ლენინური „ისკრა“ იყო რუს რევოლუციონერ მარქსისტთა მებრძოლი ორგანო. მისი მოღვაწეობა მიმდინარეობდა რუსეთში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის წლებში. იგი, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ გამოდიოდა, ღრმად ამუქებდა რუსეთში არსებულ მდგომარეობას, მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, იძლეოდა პასუხს ყველა საკითხზე, რომლებიც აინტერესებდა მუშებს, გლეხებს, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს.

ლენინური „ისკრა“ პირველი ნომრიდანვე უდიდეს მუშაობას ეწეოდა მარქსისტული პარტიის შექმნისათვის რუსეთში. გაზეთის პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში „ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები“ ვ. ი. ლენინმა ძირითად ამოცანად დასახა მტკიცე, ორგანიზებული, მუშათა მოძრაობასთან განუყოფელ კავშირში მყოფი მარქსისტული პარტიის შექმნა. ასეთი პარტია თუ არ იქნა, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, „მუშათა კლასი ვერასოდეს ვერ შესძლებს მასზე დაკისრებული დიადი ისტორიული ამოცანის შესრულებას: თავისი თავის და მთელი რუსი ხალხის განთავისუფლებას პოლიტიკური და ეკონომიური მონობისაგან“.

„ისკრის“ მეოთხე ნომერში დაიბეჭდა მოწინავე სტატია „რით დავიწყოთ“, რომელშიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა მარქსისტული პარტიის შექმნის კონკრეტული გეგმა და ყოველმხრივ გააშუქა საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის როლი პარტიის შექმნის საქმეში. „გაზეთი, — წერდა ვ. ი. ლენინი აღნიშნულ სტატიაში, — არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც“. ასეთი კოლექტიური პროპაგანდისტი, კოლექტიური აგიტატორი და ორგანიზატორი იყო „ისკრა“.

ვ. ი. ლენინი მუშათა პოლიტიკურ გაზეთსა და მის ირგვლივ დარაზმული აგენტებისა და კორესპონდენტების ქსელს ადარებდა ხარაჩოს, რასაც აგებენ ასაშენებელი შენობის გარშემო. ხარაჩო, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, სახავს შენობის კონტურებს, აადვილებს კავშირს ცალკეულ მშენებელთა შორის, ეხმარება მათ საქმეშიაოს განაწილებასა და ორგანიზებული შრომით მიღწეული საერთო შედეგების დათვალიერებაში.

ვ. ი. ლენინმა გენიალურად განსაზღვრა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მარქსისტული პარტიის ხასიათი, მიზნები და ამოცანები, ორგანიზაციული აგებულება და შემადგენლობა.

გაზეთმა „ისკრამ“ ტიტანური ბრძოლა გააჩაღა „ეკონომისტების“ წინააღმდეგ. „ეკონომისტები“ იყო ბურჟუაზიის აგენტურა მუშათა მოძრაობაში. „ეკონომისტები“ სიტყვით მუშათა კლასის ერთგულებას ფიცულობდნენ, საქმით კი მას ძირს უთხრიდნენ, ცდილობდნენ მუშათა მოძრაობა აეცდინათ სწორი გზიდან და ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი კალაპოტით წარემართათ იგი.

„ეკონომისტები“ უარყოფდნენ მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას, ამბობდნენ, მუშებმა მხოლოდ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობისათვის უნდა იზრუნონ და არა პოლიტიკური თავისუფლებისათვის, პოლიტიკური ბრძოლა ბურჟუაზიის საქმეა და მან უნდა აწარმოოსო. ისინი ქადაგებდნენ სტიქიურობის წინაშე, უარყოფდნენ რევოლუციური თეორიის სნინშვნელობას, მუშათა კლასში სოციალისტური შეგნების შეტანის აუცილებლობას. სოციალისტურ შეგნებას მუშათა კლასი თავისთავად, სტიქიურად გამომიმუშავებსო. გარდა ამისა, „ეკონომისტები“ უარყოფდნენ პარტიის ხელმძღვანელ როლს. მათი აზრით პარტია მუშათა კლასის ბელადი, ორგანიზატორი კი. არ უნდა ყოფილიყო, არამედ მომხდარი მოვლენების უბრალო რეგისტრატორი, იგი წინ კი არ უნდა გასძღოლოდა მუშათა კლასს, არამედ უკან უნდა გაჰყოლოდა.

გაზეთმა „ისკრამ“ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გაიღაშქრა „ეკონომისტების“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ლენინმა „ისკრაში“ დაბეჭდილ წერილებსა და თავის უკვდავ ნაწარმოებში — „რა ვაკეთოთ?“ მთლიანად გამოაშკარავა „ეკონომისტების“ ოპორტუნიზმი, მათი შეხედულების მცდარი, მოღალატური ხასიათი.

ლენინმა გვიჩვენა, რომ მუშათა კლასის ჩამოშორება ცარიზმის წინააღმდეგ საერთო-პოლიტიკური ბრძოლისაგან, ძისი ამოცანების შეზღუდვა მეწარმეებთან და მთავრობასთან ეკონომიური ბრძოლით პროლეტარიატის ღალატი იყო. ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში მუშათა კლასის აქტიურად ჩაბმა აუცილებლობას წარმოადგენდა. კაპიტალიზმის დამხობასა. და სოციალიზმის დამყარებას პროლეტარიატი ისე ვერ შეძლებდა, თუ არ მოსპობდა მეფის თვითმპყრობელურ წყობილებას.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრა და პარტიის ხელმძღვანელ როლის უარყოფა ნიშნავს „მაჩანჩალობის“ ქადაგებას, მუშათა კლასის ისე დატოვებას, რომ ხელმძღვანელი არ ჰყავდეს. ლენინმა გვიჩვენა, რომ პარტიის ხელმძღვანელობის უქონლად მუშათა კლასი ვერ გაიმარჯვებდა სოციალიზმისათვის ბრძოლაში, რომ პარტია მუშათა კლასის ბელადი, მისი ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ძალაა.

ლენინმა დაასაბუთა რევოლუციური თეორიის უდიდესი მნიშვნელობა მუშათა კლასის ბრძოლისა და გამარჯვებისათვის, ყველა მშრომელთა გამარჯვებისათვის. „რევოლუციური თეორიის გარეშე, — ამბობდა ლენინი, — შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც... მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“.

გაზეთ „ისკრისა“ და ლენინის შეუპოვარი ბრძოლა „ეკონომისტების“ წინააღმდეგ წარმატებით დამთავრდა, „ეკონომისტები“ განადგურებულ იქნენ.

ლენინური „ისკრა“ დიდ ყურადღებას უთმობდა გლეხობის საკითხს. იგი სისტემატურად აშუქებდა რევოლუციურ გამოსვლებს სოფლად. „ისკრა“ უბრალო, გასაგები ენით ღრმად განუმარტავდა გლეხთა მასებს მათი დუხჭირი ცხოვრების მიზეზებს, უჩვენებდა გამოსავალს აუტანელი მდგომარეობიდან. იგი ეწეოდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინური იდეის პროპაგანდას. შეჰქონდა სოფლად რევოლუციური იდეები, ამზადებდა გლეხობას პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ცარიზმის დამხობისათვის, მემამულეთა ბატონობის მოსპობისათვის.

„ისკრა“ ეწეოდა ესერების შეხედულებათა სასტიკ კრიტიკას. ესერები, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოში, უარყოფდნენ რა განსხვავებას პროლეტარიატს, გლეხობასა და ინტელიგენციას შორის, ანელებდნენ მუშათა კლასის მიერ რევოლუციურ ბრძოლაში თავისი ხელმძღვანელი როლის გაგებას. ესერები ქადაგებდნენ ინდივიდუალურ ტერორს, რევოლუციონერთა ძალებს წარმართავდნენ უსარგებლო ტერორისტული აქტებისაკენ და ძირს უთხრიდნენ მასების რევოლუციური ბრძოლის ორგანიზაციას. „მიწის სოციალიზაციის“ მოთხოვნით ისინი ატყუებდნენ მუშებსა და გლეხებს ცდილობდნენ ჩაენერგათ მათთვის იმის რწმენა, რომ კაპიტალიზმის შენარჩუნებისას თითქოს შეიძლება სოფლად სოციალიზმის განხორციელება მიწის კერძო საკუთრების მოსპობით და გლეხებისათვის მისი თანაბრად განაწილებით.

როგორც ცნობილია, მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. გაზეთი „ისკრა“ ულმობლად ამხილებდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, ძედგრად იცავდა ჩაგრული ერების ინტერესებს. იგი ქადაგებდა თვითეული ერის თვითგამორკვევის უფლების იდეას, ამავე დროს ულმობლად ამხილებდა ებრაელ, პოლონელ და სხვა წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, რომლებიც ეროვნულ განკერძოებულობას ქადაგებდნენ, მუშათა მორის ეროვნულ შუღლს თესავდნენ. ვ. ი. ლენინმა თავის სტატიებში — „ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში“, „ესაპირობა თუ არა ებრაელ პროლეტარიატს „დაშოვიდებული პოლიტიკური პარტია“, „ბუნდის მდგომარეობა პარტიაში“ და სხვა ნაშრომებში შეიმუშავა მარქსისტული პარტიის პროგრამა ეროვნულ საკითხში, მოგვცა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამანადგურებელი კრიტიკა.

მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდით, პროლეტარიატის მოღალატეთა წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლით, ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის მხილებით, მუშათა რევოლუციური მოძრაობის საკითხების ღრმად გაშუქებით, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელ მასების დარაზმვისათვის დაუღალავი ზრუნვით „ისკრამ“ უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა მუშათა მასებში, მოწინავე გლეხებში. მარქსისტული წრეებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა გადავიდა „ისკრის“ მხარეზე, შეიქმნა ახალი ლენინურ-ისკრული ორგანიზაციები. „ისკრის“ ირგვლივ ჩამოყალიბდა პროფესიონალ რევოლუციონერთა მძლავრი ორგანიზაცია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მარქსისტული პარტიის შექმნაში.

„ისკრამ“ დიდი მუშაობა გასწია პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების შემუშავებისათვის, რაც უაღრესად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. პროგრამის როგორც პირველი, ისე მეორე პროექტი, რომელთა ავტორი იყო გ. ვ. პლეხანოვი, ვ. ი. ლენინმა მკაცრად და საფუძვლიანად გააკრიტიკა და მათში შეიტანა მთელი რიგი პრინციპული ხასიათის შესწორებები, რომელთა წინააღმდეგი იყო პლეხანოვი. მაგრამ, დიდი ბრძოლის შემდეგ, რედაქცია დაეთანხმა ლენინის შესწორებებს. ამ შესწორებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პუნქტი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რასაც პლეხანოვის პროექტი გვერდს უვლიდა. ლენინმა დაწერა პროგრამის აგრარული ნაწილი. მან შეიმუშავა აგრეთვე პარტიის წესდების პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა „ისკრის“ რედაქციის მიერ.

„ისკრის“ მიერ შემუშავებული პროგრამისა და წესდების პროექტები წარედგინა რსდმპ მეორე ყრილობას, რომელიც გაიმართა 1903 წ. ივლისში ლონდონში. რსდმპ II ყრილობის მთავარი ამოცანა, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, იყო ნამდვილი რევოლუციური მუშათა პარტიის შექმნა იმ პრინციპულ და ორგანიზაციულ საწყისებზე, რომლებიც წამოაყენა და დაამუშავა გაზეთმა „ისკრამ“.

ყრილობამ, უკუაგდო რა ოპორტუნისტების შესწორებები, მიიღო პარტიის პროგრამა, მიღებულ იქნა აგრეთვე პარტიის წესდება და მთელი რიგი დადგენილებები ტაქტიკურ საკითხებზე.

II ყრილობაზე შეიქმნა რევოლუციური მარქსისტული პარტია — ბოლშევიკების პარტია. ამაშია ამ ყრილობის უდიდესი მნიშვნელობა. „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან აოსებობს“.

მეორე ყრილობის შემდეგ, 52-ე ნომრიდან, იმის გამო, რომ პლეხანოვმა დათმო თავისი წინანდელი პოზიცია, უღალატა ლენინს და მიემხრო მენშევიკებს, „ისკრა“ ხელთ იგდეს მენშევიკებმა. ამის შემდეგ „ისკრა“ მენშევიკური გახდა, ქადაგებდა ოპორტუნისტულ იდეებს, ებრძოდა რევოლუციურ მარქსისტებს — ბოლშევიკებს. ლენინმა და ბოლშევიკებმა 1904 წლის ბოლოს შექმნეს თავიანთი რევოლუციური გაზეთი „ვპერიოდ“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა პარტიის III ყრილობის მოწვევისა და 1905 წლის რევოლუციისათვის ბოლშევიკური ორგანიზაციების დარაზმვის საქმეში.

• • •

შეუძლებელია მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში „ისკრის“ დამსახურების გადაჭარბებით შეფასება. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთში მარქსისტული პარტიის შექმნაში. იგი აღაფრთოვანებდა და რაზმავდა მშრომელებს ცარიზმის დამხობისათვის, მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის მოსპობისათვის საბრძოლველად. საქმეშ, რომლისთვისაც ლენინური „ისკრა“ იბრძოდა, გაიმარჯვა. ლენინის მიერ დაფუძნებული ნაპერწკლიდან აინთო დიდი ხანძარი, რომელმაც ჩვენი პლანეტის დიდ ნაწილზე მოლიანად გადაბუგა ძველი, ექსპლოატატორული წყობილება და მშრომელებს თავისუფლება მოუტანა, ბედნიერი ცხოვრების ყველა პირობა შეუქმნა. აი რატომ არის, რომ დღეს გამარჯვებული საბჭოთა ხალხი ასეთი განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნავს ლენინური „ისკრის“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავს.

გ. ფირცხალავა.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს სახელოვანი მეცნიერის პროფესორ გიორგი სპირიდონის-ძე ჩიტაიას დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავს.

მეცნიერი და მოქალაქე



გ. ჩიტაიას დაბადების 70 წლისთავის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი გიორგი ჩიტაია საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელია. გ. ჩიტაიას სახელთან დაკავშირებულია ჩვენში ეთნოგრაფიული მუშაობის გადახალისება, ახალი სამეცნიერო კერების შექმნა და მეცნიერთა ახალი კადრების მომზადება, კელზე ექსპედიციების ხანგრძლივი და სისტემატური მუშაობის დამკვიდრება.

ეთნოგრაფია საქართველოში უისტორიო არ ყოფილა, მაგრამ იგი, როგორც მეცნიერული დისციპლინა, საბჭოთა პირობებში. ამ დროიდან მოკიდებული მრავალი ათეული წლების მანძილზე გ. ჩიტაია დაუღალავად მუშაობს ქართველი ხალხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკვანძო ეთნოგრაფიული პრობლემების მეცნიერულ შესწავლაზე.

ეთნოგრაფიული მეცნიერების დაწინაურებისათვის გეგმაშეწონილი მუშაობა გიორგი ჩიტაიამ ძველი მეზკვიდრეობის კრიტიკული ათვისებით დაიწყო. მან დაადგინა, რომ ძველ ავტორებთან, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთოდ კავკასიის ეთნოგრაფიას მეტნაკლებად შეხებიან, თეორიები და განზოგადებანი მრავლად იყო, ფაქტები კი მცირე.

იმთავითვე პროფ. გ. ჩიტაიამ მუშაობის მთავარ ამოცანად დასახა ეთნოგრაფიული მეცნიერების პირველწყაროს— ხალხის კულტურისა და ყოფის გამომხატველი ფაქტებისა და მოვლენების შესახებ მასალების შეგროვება ველზე.

ამას დაუკავშირდა საველე მუშაობის ძველი მეთოდის უკვარგისობის დასაბუთება და ახალი მეთოდის პრინციპების შემუშავება. დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილია ეთნოგრაფიული მუშაობის „სასიხარ ქვაზე“ — ველზე მრავალგზის შეგროვებული კოძალქსურ-ინტენსიური მეთოდი, რომელიც პროფ. გ. ჩიტაიამ ჩამოაყალიბა.

თავის მიერ შემუშავებული მეთოდის მეცნიერულ დასაბუთებასთან ერთად პროფ. გ. ჩიტაიამ გამოაშკარავა სხვადასხვა სახელით მოხსენიული ბურჟუაზიული ეთნოლოგიის „მეთოდების“ რეაქციული ბუნება.

პროფ. გ. ჩიტაია 120-ზე მეტი გამოქვეყნებული შრომის ავტორია. პროფ. გ. ჩიტაიამ ხელი მოჰკიდა ქართველი ხალხის მაცხოვრებელი სამეურნეო დარგის — მიწათმოქმედების შესწავლას, რის შედეგადაც დაადგინა ძველი მიწათმოქმედებისა და ნიადაგის დამუშავების სისტემები, რომლებსაც ცალკეკე, სადგენებო სახვნელი იარაღები ჰქონდათ. ამ ერთობლიობაში პროფ. გ. ჩიტაიამ მოგვცა სახვნელი იარაღების ფუნქციით განსაზღვრული საკუთარი კლასიფიკაცია და დაასაბუთა არამეცნიერულობა თანამედროვე უცხოურ ეთნოგრაფიაში შეღებული კლასიფიკაციისა, რომლის ამოსავალს „ფორმა“ შეადგენს.



ფოტო. პროფ. გ. ჩიტაია

ერთ-ერთი პირველი [illegible] მეცნიერმა ამ ახალი [illegible]ის პასუხად კიდევ უფრო გააძლიერა საველე ეთნოგრაფიული [illegible] [illegible] ველზე, ჩამოაყალიბა ახალი [illegible] [illegible] ეთნოგრაფიულ [illegible] პრინციპები, იმუშავა ველზე, რის შედეგადაც მისი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით საქართველოში პირველად დაიწერა გამოკვლევა კოლმეურნე გლეხობის ახალი კულტურისა და ყოფის შესახებ.

პროფ. გ. ჩიტაიას შრომები ფართოდ აოის ცნობილი და გამოყენებული არა მარტო საბჭოთა კავშირსა და დემოკრატიულ ქვეყნებში, არამედ მთა გარეთაც.

გ. ჩიტაია ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მეთაურობდა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას, რომელიც მისი ინიციატივითა და თავდადებული შრომის შედეგად შეიქმნა.

გ. ჩიტაია 1929 წლიდან თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს როგორც ზოგადი ეთნოგრაფიის, ისე საქართველოსა და კავკასიის, წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხების ეთნოგრაფიის კურსს და სპეციალმინარებს. გ. ჩიტაიას ინიციატივით უნივერსიტეტში შეიქმნა ეთნოგრაფიის კაბინეტი. პროფ. გ. ჩიტაია არის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა ეთნოგრაფიული სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი, ისტორიის ინსტიტუტში იგი ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციებს და სხვ.

გ. ჩიტაია დაუღალავად მუშაობს ასპირანტებთან. მის მიერ საქართველოში გამოზრდილია ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა არაერთი თაობა.

ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე პროფ. გ. ჩიტაია ენერგიულ-ზეთ მრავალმხრივ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. ისტორიის ინსტიტუტში, უნივერსიტეტსა და მუზეუმში, ისე კულტურის სამინისტროს ხაზით და საბჭოთა აზიის ნაწილებში, რისთვისაც მრავალგზის მიუღია მადლობა და ჯილდოები.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავზე ეუსურვოთ ხანგრძლივი და კიდევ უფრო ნაყოფიერი, შემოქმედებითი ცხოვრება ჩვენს 70 წლის ბარმაგ ამაგდარს, გამოჩენილ მეცნიერსა და მოქალაქეს პროფესორ გიორგი ჩიტაიას.

პროფ. დ. გვრიტიშვილი,
პროფ. შ. მესხია,
ისტორიის ინსტიტუტის უფროსი
მეცნიერი თანამშრომელი
ი. ჟღენია.

ოპერა „ზვავის“ პრემიერა

რამდენიმე წლის წინათ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე პირველად დადგა დრამატურგ მიხეილ მრევლიშვილის პიესა „ზვავი“. სპექტაკლმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამავე თემაზე ამეამად კომპოზიტორმა ა. ანდრიაშვილმა შექმნა ახალი ქართული ოპერა „ზვავი“ (ლიბრეტო ა. ანდრიაშვილისა და მ. მრევლიშვილისა).

22 დეკემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ახალი ოპერის პრემიერა. თეატრმა დადგმა მიუძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავს.

წარმოდგენის მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, დადგმა ეკუთვნის რეჟისორ გ. გაჩეჩილაძეს, მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ასკურავა, მთავარი ხორმეისტერი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ტერიშვილი.

ოპერაში როლებს ასრულებენ საქართველოს სახალხო არტისტი ლ. გოცირიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. მუშკუდიანი, ლ. არაქელოვი, შ. ვაშალომიძე და სხვ.

მღერის ლადისლავ კონია

თბილისში გასტროლებზე ჩამოვიდა ცნობილი რუმინელი ბარიტონი, ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის პრემიერი, ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ლადისლავ კონია. გუშინ იგი პირველად გამოვიდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჯუზეპე ვერდის ოპერა „ტრუბადურში“ და შესრულა გრაფ დი-ლუნას პარტია.

ლადისლავ კონია წამყვან საოპერო მომღერლად ითვლება რუმინეთში. მან პირველი სერიოზული შემოქმედებითი წარმატება მოიპოვა 1957 წელს ჟენევაში გამართულ ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე. ამის შემდეგ იგი სგასტროლოდ მიიწვიეს შვეიცარიისა და საფრანგეთის ქალაქებში. ახალგაზრდა მომღერალს დიდი წარმატება ხვდა სტუდენტთა და ახალგაზრდობის მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალზე, პირველი პრემია მიენიჭა კლასიკური სიმღერის საერთაშორისო კონკურსში.

მომღერალი ლ. კონია თბილისის საოპერო სცენაზე იმღერებს აგრეთვე ჟერმონისა (ვერდის ოპერა „ტრავიატა“) და ონეგინის (ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“) პარტიებს. გარდა ამისა იგი ოპერის თეატრში და ფილარმონიის საზამთრო დარბაზში გამართავს ორ სოლო კონცერტს.

გუშინ სპექტაკლ

ფრანგი კომუნისტები ზეიმობენ პარტიის შექმნის 40 წლისთავს

გელგიაში აზვირთდა ხალხის მრისხანება

შეპყრობილია ფაშისტი ჯალათი რიჰარდ გერი

ლაოსში კვლავ გრიალებენ ზარგაზნები

მდგომარეობა ეთიოპიაში

უკანასკნელ საათს

პარიზი, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჯიბუტიდან იუწყება, ადის-აბებიდან მიღებული ცნობებით, 21 დეკემბერს ღამით მეამბოხეთა დიდი ნაწილი, რომელიც მთებში იყო შეხიზნული დედაქალაქის ჩრდილოეთით, „გადავიდა კონტრშეტევაზე“ და გაიგერა იმპერატორის სასახლის ალაყაფისაკენ. სროლა ისმოდა ქალაქში თითქმის მთელი ღამის განმავლობაში.

ადის-აბება, 23 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დღისით ადის-აბებაში სიმშვიდე იყო. ნორმალურად მუშაობენ მთავრობის დაწესებულებანი და მაღაზიები. მთავრობის ჯარები განაგრძობენ პატრულობას დედაქალაქის ქუჩებში და იჭერენ მეამბოხეებს როგორც ქალაქში, ისე მის მიდამოებში.

გელგიაში იზრდება დაძაბულობა

ბარიზი, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ბელგიის მთავრობა სერიოზული კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. კამათი, რომელიც ორი დღის წინათ დაიწყო მთავრობის „ეკონომიის“ პროგრამის გამო, გუშინ შეწყდა სოციალისტ დეპუტატთა მოთხოვნით. სოციალისტებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ განიხილონ მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება მასობრივი საპროტესტო გაფიცვები მთავრობის პროგრამის წინააღმდეგ, რომელიც აძლიერებს საგადასახადო ჩაგვრას.

ბელგიის დედაქალაქში შესამჩნევად გადიდდა დაძაბულობა. პოლიციურმა ძალებმა ბრიუსელში მიიღეს მნიშვნელოვანი დამბმარე ძალები. მთავრობის ყველა შენობასა და ვაგზალს იცავენ პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები.

ამავე დროს მშრომელთა გაფიცვა, რომელიც უკვე ბელგიის მთელ სამხრეთ ნაწილს მოედო, ფართოვდება, ვრცელდება მრეწველობის ახალ რაიონებსა და დარგებში. გაფიცულებს შეუერთდნენ სამხრეთ ბელგიის რკინიგზელები. რკინიგზის მთელი მოძრაობა აქ პარალიზებულია. გუშინ არ დადიოდა მატარებლები საფრანგეთსა და ბელგიას შორის. მოძრაობა სხვა საერთაშორისო ხაზებზე მნიშვნელოვნად შენელდა.

«საშინელი საფრთხე მოელის ისრაელს»

ტელ-ავივი, 23 დეკემბერი. (საკდესი). უცხოეთის პრესის ცნობებს, რომ ისრაელში შენდება მძლავრი ატომური რეაქტორი, ფართოდ განიხილავენ ისრაელის პოლიტიკურ წრეებსა და პრესაში.

უპასუხა რა შეკითხვაზე, ქმნის თუ არა ისრაელი თავის ატომურ ბომბს, პრემიერ-მინისტრმა ბენ-ჰურიონმა განაცხადა, რომ ისრაელს უკვე აქვს 1.000 კილოვატი სიმძლავრის ექსპერიმენტული რეაქტორი, რომელიც აშენდა ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით და რომლისთვისაც შეერთებული შტატები აწვდიან ხლეჩად მასალებს.

პრემიერ-მინისტრმა აგრეთვე აღიარა, რომ ისრაელი ნეგევის უდაბნოში აშენებს 24.000 კილოვატი სიმძლავრის ატომურ რეაქტორს, მაგრამ იგი ამტკიცებდა, რომ ეს რეაქტორი „გამოყენებულ იქნება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით“.

მაგრამ, ამერიკის საგენტოთა ვაშინგტონიდან მიღებული ცნობების თანახმად, რომლებიც აქ გამოქვეყნდა, ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა წარმომადგენლებმაც კი განაცხადეს, რომ ეს რეაქტორი „მეტად დიდია, რომ მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურებოდეს“.

ცნობებმა მძლავრი ატომური რეაქტორის მშენებლობისა და ატომური იარაღის წარმოებისათვის მზადების შესახებ შეშფოთება გამოიწვიეს თვით ისრაელში. „ატომური იარაღის შექმნა გამალებულ შეიარაღებაში შუა აღმოსავლეთში, — წერს გაზეთი „კოლ ჰაამი“, — საშინელ საფრთხეს უქმნის ისრაელს. ატომური იარაღის წარმოება შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს“.

ტელეგრაფი გვატყობინებს

გადადგა ჰოლანდიის მთავრობა

პარიზი, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ბაგიდან იუწყებიან, ჰოლანდიის მთავრობა გადადგა პარლამენტსა და თვით მთავრობაში მკვეთრი უთანხმოების გამო საბინაო მშენებლობის პროგრამის საკითხში.

პრემიერ-მინისტრმა დე კუიამ გამოაცხადა მთავრობის გადადგომა მას შემდეგ, რაც ოპოზიციის (სოციალისტები, პაციფისტები და კომუნისტები) რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს მთავრობას გაფართოოს საბინაო მშენებლობა, მიღებულ იქნა 79 ხმით 59 ხმის წინააღმდეგ. ამ რეზოლუციას ხმა მისცა აგრეთვე იმ პარტიების დეპუტატთა ნაწილმა, რომლებიც მთავრობის კოალიციაში შედიოდნენ.

რეფერენდუმისათვის მზადება საფრანგეთში

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობამ დღეს ხმის უმრავლესობით მხარი დაუჭირა დე გოლის პოლიტიკას მომავალ რეფერენდუმში ალჟირის მართვის ორგანიზაციის საკითხზე.

ინგლისის პარლამენტი დაითხოვეს არდადეგებზე

ლონდონი, 22 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტმა გუშინ შეწყვიტა მუშაობა საშობაო არდადეგების პერიოდში, რომელიც 1961 წლის 24 იანვრამდე გაგრძელდება.

მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება

ბუდაპეშტი, 22 დეკემბერი. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც გუშინ გაიმართა, მოისმინა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაციის ანგარიში კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის შესახებ და ერთხმად მოიწონა დელეგაციის მოღვაწეობა. პლენუმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ პლენუმი სავსებით უჭერს მხარს თათბირზე მიღებულ განცხადებასა და მიმართვას მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, რომ განცხადება ადასტურებს და აკონკრეტებს 1957 წლის დეკლარაციის ძირითად დებულებებს და განაზოგადებს უკანასკნელი სამი წლის გამოცდილებას. განცხადების ძირითადი დებულებები წარმოადგენენ ყველა კომუნისტური პარტიის, მათ შორის უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მოღვაწეობის უმაღლეს პრინციპებს.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ახალი მიმართება მსოფლიოს ხალხებისადმი ემსახურება იმას, რომ შემდგომ გაძლიერდეს დღემდე წარმატებით წარმოებული ბრძოლა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციისათვის, ისეთი მსოფლიოს შექმნისათვის, სადაც არ იქნება ომები, და წარმოადგენს ახალ საბრძოლო იარაღს.

შემდეგ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ განცხადება გამოხატავს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის იდეურ ერთიანობას და მის მტკიცე გადაწყვეტილებას განაგრძოს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ განცხადება ადასტურებს იმ პოლიტიკის სისწორეს, რომელსაც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია ახორციელებს სკკპ XX ყრილობისა და 1957 წლის დეკლარაციის შესაბამისად, პოლიტიკისა, რომელიც იყო პარტიის და უნგრელი ხალხის მიერ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მოპოვებულ წარმატებათა ძირითადი პირობა.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა და განიხილა აგრეთვე იშტვან ფრიშის მოხსენება 1961 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ და ერთხმად მიიღო იგი ცნობად.

ავღანეთის საჩუქარი

ქაბული, 23 დეკემბერი. (საკდესი). ქაბულის უნივერსიტეტის რექტორმა მუჰამედ ასგარმა მეგობრობის უნივერსიტეტის სახელზე გაგზავნა წერილი, რომელშიც ულოცავს საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის გახსნას. წერილში გამოთქმულია ამედი, რომ ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის შექმნა დიდ როლს შეასრულებს დედამიწის სხვადასხვა ხალხის ურთიერთგაგების, განვითარებასა და მეგობრობის მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფაში.

ავღანეთის მთავრობასა და ხალხს, ნათქვამია წერილში, მუდამ სურდათ მშვიდობა მთელ მსოფლიოში და ისწრაფვიან მეგობრულად იცხოვრონ მსოფლიოს ყველა ხალხთან. ამიტომ ავღანეთი იწონებს და აფასებს ყოველ ღონისძიებას, განხორციელებულს ამ წმიდა მიზნის მიღწევისათვის.

მუჰამედ ასგარი თავის წერილში იტყობინება, რომ ქაბულის უნივერსიტეტი ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტს საჩუქრად უძღვნის ავღანელ მწერალთა და მეცნიერთა წიგნებს.



ერთი-ორი, ერთი-ორი! მხნედ მიაბიჯებს სანტა კლაუსების ბატალიონი ლონდონის ქუჩებში.

სანტა კლაუსი, რომელიც დასავლეთში ჩვენი თოვლის პაპის როლს ასრულებს, ზღაპრული რიტუალის მიხედვით ზეციდან ჩამოდის, კვამლის მილით ჩადის ოთახში, სადაც დადგმულია საშობაო ნაძვის ხე, და ბავშვებს საბალღწლო საჩუქრებს უძღვნის. მაგრამ ეს სანტა კლაუსები, რომლებიც ქუჩებში მიაბიჯებენ, კვამლის მილებით ოთახებში არ ჩავლენ და ბავშვებს საჩუქრებს არ მიუძღვნიან. ისინი მაღაზიებთან იდგებიან „სენდვიჩ-მენის“ როლში, რეკლამას გაუწევენ საკონფეტო ფაბრიკებს, ან ბანკებს. ეს ბიზნესის საქმე კარგად ვერ მიდის. ახალი სახეობის რეკლამა ჯერ-ჯერობით ინგლისელ ბიზნესმენთა მდგომარეობა. სანტა კლაუსების ბატალიონის სასწრაფოდ შედგენა ძნელი როდი აღმოჩნდა, ვინაიდან საშობაო დღესასწაულს ხანმოკლე სიხარული მოაქვს არა მარტო ინგლისელი ბავშვებისათვის, რომლებიც საჩუქრებს იღებენ, არამედ მოზრდილებისათვისაც, რომლებიც გაჭირვებაში არიან. ამ თოვლის პაპებმა თავიანთი თეთრი წვერი რომ მოიხსნან, დავიწყებულ ბანკრუტ-ფირმებს — ესენი არიან სტუდენტები, რომლებმაც არდადეგების დღეებში დროებითი სამუშაო იშოვნეს.

ბოლო ამბები

ბელგიელ ფაშისტ ჯალათ რიჰარდ გერის ბოროტმოქმედებანი

ბრიუსელი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ბელგიის ფაშისტ ჯალათ რიჰარდ გერის ბოროტმოქმედებანი ბელგიელ ხალხს ეცოდინებოდა, ეს ადამიანი ბელგიაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, ბელგიელ ხალხს ეცოდინებოდა, ეს ადამიანი ბელგიელ ხალხს ბოლო ოცი წლის განმავლობაში ბოროტმოქმედებანი ჩადი